



BUSINESS CONSULTING

შპს გსკ კულა
ფინანსური ანგარიშგება, დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა და მმართველობითი
ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბერს	
დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე	4
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში	9
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	10
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში.....	11
კაპიტალის ცვლილებების ანგარიში	12
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	13
მმართველობის ანგარიშგება	22

შპს გსქ კულა

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს გსქ კულა („კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ოპერაციების, ფულადი სახსრების მოძრაობისა და საწესდებო კაპიტალის ცვლილებების შედეგებს ამ დროს დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- სააღრიცხვო პოლიტიკის სწორად არჩევასა და მის შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარ და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე; და
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია:

- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც სრულყოფილად წარმოადგენს და განმარტავს კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს გონივრული სიზუსტით წარმოაჩენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და შესაბამისობას ფასს-თან;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე ადგილობრივი კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე და ისეთი კონტროლის სისტემის დანერგვაზე, რომელიც ხელმძღვანელობის მოსაზრებით უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების მომზადებას თაღლითობისა თუ შეცდომით გამოწვეული მატერიალური უზუსტობების გამორიცხვით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;
- 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონით მოთხოვნილ ყველა ინფორმაციას.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
დამტკიცდა ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 20 ნოემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით



დირექტორი

20 ნოემბერი 2025 წ.

თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „გსკ კულა“ (ს/კ 218083197) 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების შედეგების შესახებ

შპს „გსკ კულას“ მფლობელებსა და ხელმძღვანელებს:

აუდიტის მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე

ჩვენ ჩავატარეთ შპს „გსკ კულას“ (ს/კ 218083197) („კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრული შემოსავლებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, აგრეთვე განმარტებით შენიშვნებს, რომელიც მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის მიმოხილვას. ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური საქმიანობისა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

აუდიტის მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად და უტყუარას ასახავს შპს გსკ კულას ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხ(ებ)ის გავლენისა:

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარება ჩვენმა აუდიტორმა კომპანიამ დაიწყო 2025 წლის აგვისტოდან, რის გამოც ჩვენ ვერ მოვახერხეთ საანგარიშგებო პერიოდის (2024 წლის) ბოლოს მარაგების ინვენტარიზაციაზე დაკვირვებით ან სხვა ალტერნატიული გზებით, მარაგების რაოდენობებისა და სახეობრივი შემადგენლობის დადასტურება, რომლებიც კომპანიას აქვს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს (2024 წლის ბოლოს - 9 981 386 ლარი). ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ მარაგთან.

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი) და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი

ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

ხელმძღვანელობისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარმოდგენაზე ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და იმ შიდა კონტროლის პროცედურებზე, რომლებიც მენეჯმენტის აზრით დაკავშირებულია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარმოდგენასთან, რომელიც არ შეიცავს თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს. ფინანსური ანგარიშგები სმომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია, შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის

საფუძვლად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა. ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან უზედამხედველონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ ჩვენი აზრის გამომხატველი აუდიტორული დასკვნა. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავედროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის ამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულსკეპტიციზმს. ამასთან ერთად: ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. რისკი იმისა, რომ ვერ აღმოვაჩინოთ თაღლითობით გამოწვეული უზუსტობა მეტია ვიდრე ალბათობა იმისა, რომ ვერ შევამჩნიოთ შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება განხორციელდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით.

- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას ჯგუფში არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას.
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას.
- ვაკეთებთ დასკვნას იმის თაობაზე, თუ რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მხრიდან უწყვეტი საწარმოს პრინციპის გამოყენება. იმავედროულად მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე გამოვთქვამთ მოსაზრებას, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის უზუსტობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის მიერ საქმიანობის გაგრძელების უნარი. თუ დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდევ დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების, მისი განმარტებების წარმოდგენის ფორმას, სტრუქტურასა და შინაარსს, აგრეთვე იმას, თუ რამდენად ობიექტურად წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგება ძირითად ტრანზაქციებსა და მოვლენებს.

ჩვენ, სხვა საკითხებთან ერთად, ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების თაობაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად ცალკეული მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი ცალკეული მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა ცალკეული მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.


ჩვენ წავიკითხეთ მმართველობითი ანგარიშგება და ჩვენს მიერ ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით დავასკვნით:

- 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობით ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია არსებითად შეესაბამება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებასა და აუდიტის შედეგად მიღებულ ჩვენს ცოდნას; და;
- მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს.

კონსტანტინე ჭანტურიძე
შპს „ბიზნეს კონსალტინგის“ სახელით

2025 წლის 20 ნოემბერი

თბილისი, საქართველო



ფინანსური მდგომარეობის ანგარიში

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

წლისათვის (ერთეულ ლარში)

აქტივები	შენიშვნა	2024 31 დეკემბერი	2023 31 დეკემბერი	2022 31 დეკემბერი
მიმდინარე აქტივები				
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	4	45 631	369 424	2 193 951
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	5 949 427	6 626 799	6 776 605
მარაგი	6	9 981 386	6 964 729	9 394 472
გადახდილი ავანსები	5	1 094 901	520 133	1 596 326
მიმდინარე საგადასახადო აქტივი	5	-	523 002	393 240
სხვა მიმდინარე აქტივები	5	367 394		3 410
სულ მიმდინარე აქტივები		17 438 740	15 004 087	20 358 004
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	2 829 221	2 566 488	1 971 056
არამატერიალური აქტივები	7	-		
სულ გრძელვადიანი აქტივები		2 829 221	2 566 488	1 971 056
სულ აქტივები:		20 267 962	17 570 575	22 329 060
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	3 648 068	2 900 280	1 584 569
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	8	2 859 115	2 178 385	2 063 862
სახელშეკრულებო ვალდებულება	8	-	200 415	2 590 333
ვალდებულებები პერსონალის წინაშე	8	69 140		
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	-	93	3 344 283
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		6 576 323	5 279 173	9 583 047
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სასესხო ვალდებულებები		2 052 928	756 724	845 253
ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე		-		348 157
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2 052 928	756 724	1 193 410
საკუთარი კაპიტალი				
განთავსებული კაპიტალი		1 470 000	1 470 000	1 470 000
საემისიო კაპიტალი		200 000	200 000	200 000
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი		9 968 712	9 864 679	9 882 604
სულ საკუთარი კაპიტალი		11 638 712	11 534 679	11 552 604
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		20 267 962	17 570 576	22 329 061



მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის (ერთეულ ლარში)

	2024 31 დეკემბერი შენიშვნა	2023 31 დეკემბერი
ნეტო ამონაგები		
- საქონლის გაყიდვიდან	7 569 166	13 695 264
- სხვა		
საერთო მოგება	7 569 166	13 695 264
სასაქონლო მარაგების ნედლეულის ხარჯი	(5 566 643)	(9 006 201)
საიჯარო ჯირის ხარჯი	(51 695)	
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი	(158 073)	(154 910)
რეკლამისა და მარკეტინგის ხარჯი	(568 327)	(1 147 682)
ტრანსპორტირებისა და ავტომანქანის შენახვის ხარჯი	(81 237)	(2 963)
საწვავის ხარჯი	(55 055)	(52 534)
შრომის ანაზღაურების და სოციალური ხარჯი	(713 885)	(1 902 262)
საბანკო მომსახურების ხარჯი	(31 906)	(39 477)
კომუნალური ხარჯი	(531 311)	(437 733)
დაზვევის ხარჯი	(12 051)	(8 890)
სხვა საოპერაციო ხარჯი	9 (200 170)	(860 087)
სულ საოპერაციო ხარჯი	(7 970 352)	(13 612 739)
სულ საოპერაციო მოგება	(401 186)	82 525
საპროცენტო შემოსავლები	10 -	16
საპროცენტო ხარჯები	10 (328 078)	(413 376)
შემოსავალი/ზარალი სავალუტო გადაფასებიდან	10 -	
შემოსავალი/ზარალი კონვერტაციიდან	10 (41 368)	(371 580)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ზარალი	10 911 401	684 490
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	140 770	(17 925)
გაცემული დივიდენდი		
ცვლილებები სხვა სრულ შემოსავალში		
მოგება/ზარალი	140 770	(17 925)



ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	2024 31 დეკემბერი	2023 31 დეკემბერი
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე	140 770	(17 925)
კორექტირებები:		
ცვეთა და მორტიზაცია	158 072,61	154 910,00
საპროცენტო ხარჯი	328 077,59	413 376,00
სავალუტო გადაფასება	(2 603,00)	371 580,00
ცვლილებები სხვა სრულ შემოსავალში	-	(27 900,00)
მოგება/ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	624 316,88	911 966,00
კლება/ზრდა:		
ცვლილებები მარაგში	(3 016 657)	2 429 743
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	677 372	149 806
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	747 788	1 315 711
საგადასახადო ვალდებულება	523 002	(129 762)
სხვა აქტივები/ვალდებულებები	(574 768)	1 079 603
ცვლილება სხვა აქტივებში	(367 394)	
ვალდებულებები პერსონალის წინაშე	69 140	
ცვლილება სხვა ვალდებულების/ზრდა	(200 508)	(5 105 620)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(1 517 710)	651 447
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	(216 320)	(2 638 808)
ძირითადი საშუალების გაყიდვა		550 200
მიღებული პროცენტი		16
გადახდილი პროცენტი	(123 210)	(323 520)
გაცემული/მიღებული დივიდენდი		
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(339 531)	(2 412 112)
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	1 533 447	2 000 000
გაცემული სესხები		(2 063 862)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	1 533 447	(63 862)
წმინდა ზრდა (კლება)	(323 793)	(1 824 527)
ფულსა და ფულის ეკვივალენტებში სავალუტო კურსის ეფექტი		
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	369 424	2 193 951
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	45 631	369 424



შპს გსქ კულა

კაპიტალის ცვლილებების ანგარიში

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული
წლისათვის (ერთეულ ლარში)

აპიჯალის მოძრაობა	საწესდებო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	მოგება/ ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 470 000	200 000	9 882 604	11 552 604
მიმდინარე პერიოდის მოგება			(17 925)	(17 925)
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება				
გაცემული დივიდენდი				
სხვა ცვლილებები				
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 470 000	200 000	9 864 679	11 534 679
მიმდინარე პერიოდის მოგება			140 770	
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება				
გაცემული დივიდენდი				
სხვა ცვლილებები			(36 737)	
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 470 000	200 000	9 968 712	11 638 712



შპს გსქ კულა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ერთეულ ლარში)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ერთეულ ლარში)

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს გსქ კულა (ს/კ: 218083197) რეგისტრირებულია საქართველოში 2009 წლიდან. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. გორი, შინდისის გზატკეცილი, N17.

კომპანიის მფლობელია: ლეილა ლონდარიძე (100%).

საბოლოო ეფექტური კონტროლის განმახორციელებელი პირია: ივანე გოგლიძე.

ძირითადი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სხვადასხვა საკონსერვო პროდუქტების, უალკოჰოლო სასმელების, საწებლების, ტყემლების, ჯემების და სხვა მსგავსი საკვები პროდუქტების წარმოება და მათი საბითუმო რეალიზაცია საქართველოში და საზღვარგარეთ.

წარმოება ხორციელდება ქალაქ გორში არსებულ საწარმოში და იქვე არსებული სასაწყობო ინფრასტრუქტურის გამოყენებით ხორციელდება პროდუქციის შენახვა, ხოლო შემდგომ მათი დისტრიბუცია სხვადასხვა სავაჭრო ობიექტებზე სადისტრიბუციო მანქანების მეშვეობით.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვა

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჟოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

2.2 ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ფინანსურ მაჩვენებლებსა და სხვა ძირითად ფაქტორებს უწყვეტობის შესახებ დაშვებების ადექვატურობის შეფასებისას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ კომპანია მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

2.3 ფუნქციონალური და საპრეზენტაციო ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი.

შპს გსქ კულა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ერთეულ ლარში)

2.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ების შესაბამისად, კომპანიის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ განიხილოს, შეაფასოს და გააკეთოს დაშვებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე. ხელმძღვანელობის შეფასება და შესაბამისი დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და მოლოდინებს მომავალთან დაკავშირებით, თუმცა ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის ახლანდელი დაშვებებისგან და მომავალში შესაძლოა შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო რაც არ ექვემდებარება კომპანიის პირდაპირ კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება დადგომისთანავე.

გაკეთებული მნიშვნელოვანი დაშვებები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი

კომპანია ანგარიშგების თარიღისათვის აფასებს ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური ნიშნების არსებობას. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხა აისახება მიმდინარე პერიოდის ხარჯებში.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

ა) 2023 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

- სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, და რომლებმაც შეიძლება იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე, მოცემულია ქვემოთ. კომპანიის ამ სტანდარტების მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე. ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ ახალი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე:

შესწორებები ფასს 16-ში: იჯარა: იჯარის ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);

ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ბასს 1-ის შესწორებები (თავდაპირველად გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და შემდგომში შესწორებულია 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.);

ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ შესწორებები: მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებები (გამოცემულია 2023 წლის 25 მაისს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);

შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს და ძალაშია 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს, ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა, ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაში შესვლის თარიღი არ არის ცნობილი) თუ ეს სხვაგვარად არ არის აღწერილი, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი

შპს გსქ კულა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ერთეულ ლარში)

სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. ინფორმაცია განუსაზღვრელობის შეფასებისა და ხელმძღვანელობის მსჯელობის ძირითადი წყაროების შესახებ

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული (პირვანდელი) ღირებულების კონცეფციის საფუძველზე, გარდა სამართლიანი ღირებულებით შეფასებული გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომელიც განმარტებულია ქვემოთ მოცემულ პოლიტიკებში. ისტორიული (პირვანდელი) ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას.

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის ვადაში; ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცემა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.
- ყველა სხვა აქტივი კლასიფიცირდება გრძელვადიანად. ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:
- მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალურ საოპერაციო რეჟიმში;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიან კატეგორიას მიაკუთვნებს.

3.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული (პირვანდელი) ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

3.3 შემოსავლების აღიარება

ყველა შემოსავლის აღიარება ხორციელდება დარიცხვის მეთოდით, იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდის პირობების გათვალისწინებით და გადასახადების გამოკლებით.

შპს გსქ კულა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ერთეულ ლარში)

კომპანია შემოსავლებთან დაკავშირებულ თავის შეთანხმებებს აანალიზებს შესაბამისი კრიტერიუმებით, რათა განსაზღვროს ამ შეთანხმებებში იგი პრინციპალად გამოდის თუ პრინციპალის აგენტ მხარედ. კომპანიამ დაადგინა, რომ ძირითადად იგი მოქმედებს პრინციპალის სახით შემოსავლებთან დაკავშირებულ უმეტეს შეთანხმებაში.

შემოსავლების აღიარება მათის სახეობების მიხედვით ხორციელდება შემდეგნაირად:

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაირთვება უკან დაბრუნებები და ფასდათმობები.

შემოსავალი აღიარდება მაშინ როდესაც:

- კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი გადავიდა მყიდველზე;
- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შესაძლებელია შემოსავლის და მასთან დაკავშირებული ხარჯების საიმედოდ შეფასება;

სხვა შემოსავალი

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომსახურება გაწეულია და ჩაბარებული მხარეთა მიერ.

3.4 ძირითადი საშუალებები აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება ფასდება მათი შესყიდვის ფაქტობრივ ხარჯებზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს მათი შესყიდვის ფასს, შესყიდვის არაანაზღაურებად გადასახადს და ნებისმიერ პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას და დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად განთავსებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალებები აისახება თვითღირებულებით (ისტორიული ღირებულებით) დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დაუმთავრებელ მშენებლობაზე გაწეული დანახარჯები აღიარდება ძირითად საშუალებად და აღირიცხება ცალკე. მასზე კაპიტალიზირებული ხარჯები არ იცვითება მანამ სანამ არ მოხდება მშენებლობის დასრულება და მისი კლასიფიცირება როგორც შენობა-ნაგებობის.

ცვეთა

ფასს-ის მიზნებისთვის, ცვეთის აღიარება მოგება-ზარალში ხდება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მისაღები სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ როდესაც აქტივი მზად არის გამოყენებისთვის და ერიცხება

სარგებლობაში არსებული ვადის პროპორციულად.

საჭიროების შემთხვევაში, ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება.

შპს გსქ კულა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ერთეულ ლარში)

ცვეთის დარიცხვის საპროცენტო განაკვეთები შემდეგია:

შენობა-ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები	5% - 20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%
საოფისე და სხვა ინვენტარი	10%-20%
დაუმთავრებელი მშენებლობა	-

აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაიხედება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

3.5 მარაგები

მარაგები თავდაპირველი აღიარების დროს ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს ისეთ საწარმოო პირდაპირ და ზედნადებ ხარჯებს როგორიცაა: ნედლეული, ხელფასები, კომუნალური ხარჯები, ცვეთა, და სხვახარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების მზა პროდუქციის მდგომარეობამდე მისაყვანად.

მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა „საშუალო შეწონილი“ ღირებულების პრინციპს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარაგი აისახება უმცირესი თანხით თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

3.6 ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების აღსარიცხად ითვალისწინებს ფასს 9-ის მოთხოვნებს.

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება მას შემდეგ რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის შესახებ ხელშეკრულების მონაწილე.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხორციელდება

სამართლიანი ღირებულებით, რასაც აგრეთვე ემატება ტრანზაქციის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები.

შპს გსქ კულა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ერთეულ ლარში)

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების დაფარვიდან შეფასების თარიღისთვის ბაზრის დამოუკიდებელ მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს.

სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად მიჩნეულია, რომ ფულადი სახსრების, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების სამართლიანი ღირებულება დიდწილად ტოლია მათი საბალანსო ღირებულების და არ საჭიროებს დისკონტირებას ამ ინსტრუმენტების დაფარვის მოკლე ვადის გამო.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის, კომპანია აფასებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ნიშნების არსებობას. გაუფასურების არსებობის ობიექტური ნიშანი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ მევალე ან მევალეთა ჯგუფი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არღვევს შესაბამისი თანხის გადახდის ვალდებულებას, არსებობს გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა და ხელთ არსებული მონაცემები მიუთითებს ფულადი სახსრების მოსალოდნელი მომავალი ნაკადების შემცირებაზე. მაგალითად, როგორცაა ცვლილებები ვადაგადაცილებული თანხების ხანდაზმულობებში, ეკონომიკურ პირობებში რომლებიც ურთიერთქმედებაშია ვალდებულებების შეუსრულებლობასთან, და ა.შ.

ფასს 9 არაფინანსურ ინსტიტუტებს უფლებას აძლევს, რომ სავაჭრო და იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანებისთვის გამარტივებული მეთოდი გამოიყენონ. ასეთ შემთხვევაში, საჭირო აღარაა 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა და ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკის ზრდაზე დაკვირვება. ამის ნაცვლად, საწარმომ უნდა შეაფასოს აქტივის მთელი ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. კომპანიამ თავისი მოკლევადიანი სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებისთვის გამარტივებული მიდგომა აირჩია.

აქტივების საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საშუალებით, ხოლო ზარალის თანხის აღიარება ხდება მოგება-ზარალში.

მისაღები დებიტორები მათთან დაკავშირებულ რეზერვთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მომავალში მათი ამოღების რეალური პერსპექტივა არ არსებობს, უზრუნველყოფის ყველა საგანი რეალიზებული ან გადაცემულია კომპანიისთვის. თუ მომდევნო წლის განმავლობაში გაუფასურებით გამოწვეული ზარალი გაიზრდება ან შემცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომ დამდგარი მოვლენის გამო, მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. თუ ჩამოიწერების ამოღება მომავალში მოხერხდება, იგი აისახება მოგება-ზარალში ფინანსური საქმიანობის ნაწილში.

3.7 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში კომპანია

განსაზღვრავს აქტივის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის აქტივების დაჯგუფება ხდება ინდივიდუალურად და/ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების დონეზე. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე.

შპს გსქ კულა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ერთეულ ლარში)

3.8 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებები წესდებაში (მათ შორის საწესდებო კაპიტალში) ხორციელდება კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდების დარიცხვა, გამოცხადების შემთხვევაში, ხორციელდება მასთან დაკავშირებული გადასახადების ჩათვლით და აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა და აკლდება გაუნაწილებელი მოგების ანგარიშს.

4. ფულადი სახსრები

	31.12.24	31.12.2023	31.12.2022
ფული სალაროში	18 446	116 734	466 386
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე	27 185	252 691	1 727 565
	45 631	369 425	2 193 951

5. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31.12.24	31.12.2023	31.12.2022
ადგილობრივი დამკვეთები	5 104	5 690	5 934
	190	392	089
	845	936	842
არარეზიდენტი დამკვეთები	237	407	516
	5 949 427	6 626 799	6 776 605

მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები 1 094 901 520 133 1 596 326

სხვა მიმდინარე აქტივები/საგადასახადო აქტივი 367 394 3 410

6. მარაგები

	31.12.24	31.12.2023	31.12.2022
გასაყიდად გამიზნული საქონელი	2 707 853	2 109 723	1 998 257
ნახევარფაბრიკატები	3 495 020	2 519 440	4 755 573
ტარა და შესაფუთი მასალები	2 503 171	1 864 775	1 965 945
ნედლეული	903 873	465 169	669 360
სხვა მარაგები	371 469	5 622	5 337
	9 981 386	6 964 729	9 394 472

შპს გსკკულა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ერთეულ ლარში)

7. გრძელვადიანი აქტივები

	მიწა შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ლიზინგი	სატრანსპორ- ტო საშუალებებ ი	არამატერიალ- ური აქტივები	სხვა აქტივებ ი	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	345 275	1 214 014	1 384 594	208 218	8 755	175 251	3 336 107
შემოსვლა	1 484 418	1 083 706	65 501		-	5 183	2 638 808
გასვლა	(310 000)	(439 929)	(1 450 095)		(400)	(261)	(2 200 685)
გადატანა	-	-	-		-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	1 519 693	1 857 791	-	208 218	8 355	180 174	3 774 231
შემოსვლა		202 449				13 871	216 320
გასვლა							
გადატანა	-	-					-
2024 წლის 31 დეკემბერი	1 519 693	2 060 240	-	208 218	8 355	194 045	3 990 551
2022 წლის 31 დეკემბერი	190 781	730 246	201 695	134 050	6 655	101 624	1 365 051
ცვეთის დარიცხვა	41 423	295 515		7 482		11 770	356 190
გაუქმება რეალიზაციის შედეგად	(48 800)	(262 757)	(201 695)			(246)	(513 498)
2023 წლის 31 დეკემბერი	183 404	763 004	-	141 532	6 655	113 148	1 207 743
ცვეთის დარიცხვა	41 423	98 410		6 443		11 797	158 073
ჩამოწერა		(204 485)					
2024 წლის 31 დეკემბერი	224 827	656 929	-	147 975	6 655	124 945	1 161 331
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2022 წლის 31 დეკემბერი	154 494	483 768	1 182 899	74 168	2 100	73 627	1 971 056
2023 წლის 31 დეკემბერი	1 336 289	1 094 787	-	66 686	1 700	67 026	2 566 488
2024 წლის 31 დეკემბერი	1 294 866	1 403 311	-	60 243	1 700	69 100	2 829 221

8. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31.12.24	31.12.2023	31.12.2022
ადგილობრივი მომწოდებლები	3 238 580	2 501 139	1 390 822
არარეზიდენტი კომპანიები	409 488	399 142	193 747
	3 648 068	2 900 281	1 584 569

შპს გსქ კულა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ერთეულ ლარში)

9. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	31.12.24	31.12.2023
თანამშრომელთა ანაზღაურება	311 979	413 182
კომუნიკაციის ხარჯები	6 451	17 775
კომუნალური ხარჯები	528 077	419 958
საწვავის ხარჯები	55 055	52 534
საკანცელარიო ხარჯები	4 485	9 029
ლაბორატორიის ხარჯები	14 405	17 288
დაკალიბრების ხარჯი	237	21 186
აუდიტორული და საკონსულტაციო ხარჯი	17 203	15 247
საბანკო ხარჯები	31 906	39 477
დაზღვევის ხარჯები	12 051	8 890
დაცვის ხარჯები	2 255	2 335
მივლინების ხარჯები	70 207	63 008
ავტომანქანის და სხვა ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯები	41 841	115 215
ცვეთის ხარჯები	158 073	154 910
საგადასახადო ხარჯები	19 741	-
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	70 651	71 112
	1 273 966	1 421 146

10. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი(ხარჯი)

	31.12.24	31.12.2023
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მოგება	-	27 900
თანადაფინანსების თანხა	896 328	687 122
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	41 054	1 490
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან ზარალი	-	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(67 349)	(32 022)
საპროცენტო ხარჯი	(328 078)	-
	541 955	684 490

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 2025 წლის 20 ნოემბერს
ხელმძღვანელობის მიერ.



შპს „გსე კულა“



მმართველობის ანგარიშგება
(2024 წლის საქმიანობის მიმოხილვა)

2025

მმართველობის ანგარიშგება

შპს „გსქ კულა“
2024 წლის ანგარიში

1. შესავალი

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, შპს „გსქ კულა“, როგორც მეორე ზომითი კატეგორიის საწარმო, უზრუნველყოფს აუდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშგების წარდგენას. კომპანია გამჭვირვალობის პრინციპით მოქმედებს და რეგულარულად აქვეყნებს საჯარო ინფორმაციას საქმიანობის შესახებ. კომპანიის ისტორია, მიღწევები, სტრუქტურა, სტრატეგიული გეგმები, ანგარიშები და სხვა შესაბამისი დოკუმენტაცია განთავსებულია ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.kula.ge.

2. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

საიდენტიფიკაციო მონაცემები:

- სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)
- რეგისტრაციის თარიღი: 2009 წელი
- საიდენტიფიკაციო ნომერი: **218083197**
- დამფუძნებელი/მესაკუთრე: ლეილა ლონდარიძე (პ/ნ 01011021767) – 100% წილები
- დირექტორი: ივანე გოგლიძე – კომპანიის ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანო
- განთავსებული კაპიტალი: **1 470 000** ლარი
- იურიდიული მისამართი: საქართველო, შიდა ქართლი, ქ. გორი, შინდისის გზატკეცილი N17
- ელექტრონული ფოსტა: office@kula.ge
- ვებ-გვერდი: www.kula.ge
- ოფიციალური Facebook გვერდი: facebook.com/KULA.CANNERY/

Facebook-გვერდი ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას, სადაც რეგულარულად ქვეყნდება კომპანიის საქმიანობის შესახებ ყველა არსებითი ინფორმაცია.

3. კომპანიის მმართველობა და სტრუქტურა

კომპანიის მმართველობა ხორციელდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

დირექტორი პასუხისმგებელია:


- კომპანიის საერთო მართვაზე და სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრაზე,
- ფინანსური მდგრალობის უზრუნველყოფაზე,
- დამფუძნებლის წინაშე ანგარიშვალდებულებაზე.

კომპანიის სტრუქტურა მოიცავს:

- ხილის გადამამუშავებელ საამქროს
- ბოსტნეულის გადამამუშავებელ საამქროს
- მურაბების მწარმოებელ საამქროს
- სადისტრიბუციო დეპარტამენტს
- მარკეტინგისა და გაყიდვების სამსახურს
- ხარისხის მართვისა და სურსათის უვნებლობის სამსახურს
- ადმინისტრაციულ და ფინანსურ ერთეულებს

თანამშრომლების ფუნქცია-ვალდებულებები განსაზღვრულია თანამდებობრივ ინსტრუქციებსა და პასუხისმგებლობების მატრიცაში.

მართვის სტილი, კომუნიკაციის ფორმალური და არაფორმალური არხები



არსებული ორგანიზაციული სტრუქტურა აჩვენებს კავშირს ფუნქციებს შორის

4. საქმიანობის მიმოხილვა

4.1. ოპერაციული საქმიანობა

შპს „გსკ კულა“ 2009 წლიდან აწარმოებს ნატურალურ საკონსერვო პროდუქტებს ადგილობრივი ნედლეულის საფუძველზე. საწარმოო პროცესები მოიცავს:

- ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებას
- წვენებისა და ნექტარების წარმოებას

- მურაბების, ჯემების, საწებლების, ტყემლების, მარინადების, კონსერვების და სხვა პროდუქციის წარმოებას

დღეისათვის კომპანია აწარმოებს **250**-ზე მეტი დასახელების პროდუქციას, რომელიც განაწილებულია როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე.

4.2. ინფრასტრუქტურა და ტექნიკური ბაზა

2012 წლიდან მიმდინარეობს საწარმოო ხაზების სრულყოფა და განახლება. შეძენილია:

- წვენიისა და ნექტარის ჩამოსასხმელი თანამედროვე ხაზი
- პასტერიზატორები
- სხვადასხვა დანიშნულების დანადგარები
- სადისტრიბუციო ავტოპარკი

ტექნოლოგიური განახლება უადვილებს კომპანიას წარმოების უწყვეტ რეჟიმში მუშაობასა და ხარისხის სტანდარტების უზრუნველყოფას.

4.3. დასაქმება და რეგიონული განვითარება

კომპანია შიდა ქართლის რეგიონში ქმნის **200**-ზე მეტ სამუშაო ადგილს.

ფერმერებისთვის უზრუნველყოფილია ნედლეულის რეალიზაციის სტაბილური არხი, რაც ზრდის მათ შემოსავლებს და ხელს უწყობს ადგილობრივი სოფლის მეურნეობის განვითარებას.

5. საერთაშორისო ინტეგრაცია და ექსპორტი

კომპანია ახორციელებს ექსპორტს **20**-ზე მეტ ქვეყანაში, მათ შორის:

- აშშ
- კანადა
- გერმანია
- უკრაინა
- რუსეთი
- ისრაელი

სხვადასხვა ქვეყნებში მყოფი პარტნიორი კომპანიები ახორციელებენ როგორც პროდუქციის, ისე საქართველოს აგრარული პოტენციალის პოპულარიზაციას.

შპს „გსქ კულა“ მონაწილეობს საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვებში და აქტიურად ახორციელებს ბრენდის ცნობადობის ზრდას.

6. სურსათის უვნებლობის მენეჯმენტის სისტემა

კომპანია მოქმედებს ადგილობრივ და საერთაშორისო სურსათის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

ძირითადი პრინციპებია:

- სურსათის უვნებლობის სისტემის მუდმივი ვალიდაცია და გაუმჯობესება
- პროცესების ოპტიმიზაცია
- კანონმდებლობის სრული დაცვა წარმოებისა და მიწოდების ყველა ეტაპზე
- მიკვლევადობის სისტემის მუდმივი გაძლიერება
- მომხმარებელთან ურთიერთობის გამჭვირვალობა
- რეკლამაციების მართვა და კრიზისული სიტუაციების სწრაფი გადაჭრა

7. კომპანიის მისია და სტრატეგიული განვითარების მიმართულებები

მისია

მომხმარებლების უზრუნველყოფა მაღალხარისხიანი და უვნებელი სოფლის მეურნეობის პროდუქტებით, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე, რაც წარმოადგენს კომპანიის მდგრადი ფინანსური განვითარების საფუძველს.

სტრატეგიული მიზნები

- პროდუქციის ხარისხისა და უსაფრთხოების უწყვეტი გაუმჯობესება
- ახალი პროდუქტის ხაზების განვითარება
- ბაზრის დივერსიფიკაცია
- ექსპორტის ზრდა
- პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება
- ტექნოლოგიური განახლების გაგრძელება

8. ბიზნესის უწყვეტობის უზრუნველყოფა

2017 წლიდან კომპანია მიზანმიმართულად ახორციელებს ბიზნესის უწყვეტობის მექანიზმების დანერგვას, მათ შორის:

- ნახევარფაბრიკატების წარმოებას
- წარმოების სეზონურობის მინიმიზაციას
- კვალიფიციური კადრების შენარჩუნებას

ამ მიდგომამ უზრუნველყო საწარმოს მთელი წლის განმავლობაში უწყვეტი ოპერირება.

6. 2025 წლის და მომდევნო პერიოდის სამოქმედო გეგმა

კომპანიის გეგმები მოიცავს:

1. ექსპორტის ზრდა და დივერსიფიკაცია – ახალი ბაზრების ათვისება;
2. ახალი პროდუქტის განვითარება – პროდუქციის პორტფელის გაფართოება;
3. საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის გაგრძელება;
4. მარკეტინგული აქტივობების გაძლიერება როგორც შიდა, ისე საგარეო ბაზრებზე.

10. რისკები და მათი მართვა

მთავარი რისკები

- ინფლაციური პროცესები
- ეროვნული ვალუტის კურსის მერყეობა
- ნედლეულის ფასების შესაძლო ზრდა
- გარე ბაზრებზე მოთხოვნის ცვალებადობა

რისკების მართვის სტრატეგია

- ექსპორტის ზრდა და შემოსავლების დოლარში/ევროში დივერსიფიკაცია
- ხარჯების ოპტიმიზაცია
- ნედლეულის შესყიდვის მრავალწყაროიანობა
- სტრატეგიული მარაგების შექმნა
- ფინანსური მოდელირების გამოყენება და პროგნოზირება

11. დასკვნა

კომპანია შპს „გსკ კულა“ აგრძელებს განვითარებას, ინარჩუნებს ლიდერის პოზიციას ნატურალური საკონსერვო პროდუქციის წარმოებაში და ახორციელებს სტრატეგიულ ინვესტიციებს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე.

გატარებული ღონისძიებები, ტექნოლოგიური პროგრესი და ექსპორტის გაფართოება ქმნის საფუძველს ბიზნესის მდგრადი განვითარებისათვის.



ივანე გოგლიძე

შპს გსკ კულას დირექტორი

20 ნოემბერი 2025

